

## საპონტო ნივულის მომზადება ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩასატარებლად

ნოდარ აბელაშვილი<sup>1</sup>, ნიკა აბელაშვილი<sup>2</sup>

1 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2- ავსტრიული საინჟინრო საკონსულტაციო ბიურო „Ingerieure GmbH”

### რეზიუმე

განიხილება ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩატარებისას საკონტროლო ნიმუშის კლევის მეთოდიკა გაზომვის შედეგების განმეორებადობის კრიტერიუმის განსაზღვრისა და მისი ფიზიკური მნიშვნელობის დასადგენად მონაწილე ლაბორატორიებისათვის კვალიფიკაციის შემოწმებისას შეფასებისთვის. ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩატარებისას მათი ურთიერთშესაბამიობის დადგენა გამოცდის შედეგების დისპერსიებისა და დაკვირვებათა შედეგების საშუალო არითმეტიკულებს შორის განსხვავებისა და, შესაბამისად, მათი ერთგვაროვნების დადგენის გზით ხორციელდება, სადაც პირსონის კრიტერიუმთან ერთად შესაძლებელია სტრუდენტის კრიტერიუმის გამოყენებაც.

**საკვანძო სიტყვები:** ლაბორატორიათაშორისი გამოცდები. აღწარმოებადობის პირობა. განმეორებადობის პირობა. შეფასების კრიტერიუმი. დისპერსია. საშუალო არითმეტიკული.

### 1. შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მესამე თავი ეთმობა საერთაშორისო გაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის თვალსაზრისოთ საკანონმდებლო მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების საკითხებს, რაც აღნიშნულ სფეროებში ორმხრივი შეხედულებებისა და მიღვომების დაახლოებას გულისხმობს, მათ შორის აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიათაშორისი გამოცდების (ლშგ) ჩატარების ოგანიზებისას.

ერთი და იგივე სფეროს სხვადასხვა ლაბორატორიების გაზომვის შედეგებში გამოყენებულ საზომ საკონტროლო საშუალებების მახასიათებლების არასტაბილობის გამო შესაძლებელია გაზომვის შედეგებში გარკვეული სახის განხვები არსებობდეს. განხვების მახასიათებლების ერთგვაროვნებისა და მათი დასაშვებობის კრიტერიუმების დადგენა ლშგ-ის ჩატარების ძირითადი მიზანია.

### 2. ძირითადი ნაწილი

მოცემული მეთოდიკა ითვალისწინებს მისაღებადობის ორი კრიტერიუმის განსაზღვრას, რომლებიც განპირობებულია მოცემული მეთოდიკის დამუშავებისას განმეორადობის Ur და აღწარმოებადობის სტანდარტული განუსაზღვრელობის AR კრიტერიუმების გამოყენებით.

აღწარმოებადობის პირობა განისაზღვრება გამოცდის შედეგებით, რომელიც მიიღება ერთი და იმავე მეთოდით, იდენტურ გამოსაცდელ ობიექტებზე, სხვადასხვა ლაბორატორიაში, სხვადასხვა ოპერატორის მიერ, სხვადასხვა აღჭურვილობის გამოყენებისას.

განმეორებადობის პირობა განისაზღვრება დამოუკიდებელი გამოცდის შედეგებით, რომელიც მიიღება ერთი და იმავე მეთოდით, იდენტურ გამოსაცდელ ობიექტებზე, ერთი და იმავე ლაბორატორიაში, ერთი და იმავე ოპერატორის მიერ, ერთი და იმავე აღჭურვილობის გამოყენებისას, დროის მცირე მონაკვეთში.

განმცხადებელი (ლშგ-ს მონაწილე) საგამოცდო ლაბორატორიის შეგა პრეციზიულობა მოწმდება მისი განმეორებადობის ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობის ԱՄგან შედარებით საბაზისო (პროვაიდერი) ლაბორატორიის ჯამურ სტანდარტულ განუსაზღვრელობასთან ԱՄგაზ. მისაღებადობის კრიტერიუმის გათვალისწინებით [1], რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{u_{\Sigma r_{გან}}^2}{u_{\Sigma r_{გაზ}}^2} \leq \frac{\chi^2_{(1-\alpha)}(\nu)}{\nu}$$

სადაც:

$\chi^2_{(1-\alpha)}$  ( $\nu$ ) არის  $\chi^2$  განაწილების (1- $\alpha$ ) კვინტილი  $\nu=n-1$  თავისუფლების ხარისხისათვის;  
 $n$  - გაზომვების რაოდენობაა. მნიშვნელოვნების დონე მივიღოთ  $\alpha=0,05$ .

ასეთი შედარების ჩატარება შესაძლებელია, როდესაც საბაზო და გამოსაცდელი ლაბორატორიები აღწარმოების ექსპერიმენტში მოიხმარს ერთი და იმავე ტიპის საზომ აპარატურას, რომელთა მეტროლოგიური მახასიათებლები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. რეალურად პრაქტიკაში სხვადასხვა საგამცდო ლაბორატორიების მიერ წამოყენებული საზომი სშუალებების მეტროლოგიური მახასიათებლები შესაძლებელია რამდენადმე განსხვავდებოდეს ერთმანეთსგან. ამიტომ მიზანშეწონილია ლაბორატორიებს შორის შედეგების შედარება მოხდეს გასაზომი სიდიდის შესაბამისი განუსაზღვრელობებისა და საშუალო არითმეტიკულების შედარების შეფასების გზით სტიუდენტის კრიტერიუმის გამოყენებით.

$$|u_{\Sigma r_{გან}} - u_{\Sigma r_{გაზ}}| \leq t_{(1-\alpha)}(\nu) \cdot u_{\Sigma r_{გაზ}}$$

განმცხადებელი და საბაზო ლაბორატორიების გასაზომი სიდიდის საშუალო არითმეტიკულებს  $\bar{y}_{გან}$ ,  $\bar{y}_{გაზ}$  ადარებენ ქვემოთ მოცემული სახით მოყვანილ მისაღებადობის კრიტერიუმის მიხედვით

$$|\bar{y}_{გან} - \bar{y}_{გაზ}| \leq t_{(1-\alpha)}(\nu) \cdot u_{\Sigma r_{გაზ}}$$

სადაც  $t_{(1-\alpha)}(\nu)$  - სტიუდენტის კოეფიციენტია მოცემული სანდობის დონისა და  $\nu = n - 1$  თავისუფლების ხარისხისათვის.

მოცემული მეთოდიკის მიხედვით გაწერილ პროცედურებში  $n=10$  და  $\alpha=0,05$ .

სტიუდენტის განაწილების გამოყენებით მიღებული მოყვანილი კრიტერიუმის პირობების დაქმაყოფილება ფაქტობრივად ნიშნავს, რომ განმცხადებელი ლაბორატორიის მიერ მიღებული გაზომვის შედეგები მოთავსებულია საბაზო ლაბორატორიის მიერ მიღებული გაზომვის შედეგების ნდობის ინტერვალის 95%-იან საზღვრებში.

პროვაიდერი ლაბორატორიის მიერ ლშგ-ს საკონტროლო ნიმუშის მომზადება დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმების ექსპერიმენტულ განსაზღვრულობის, რომელიც ითვალისწინებს კონტროლის ობიექტის საძიებელი პარამეტრის ათვერადი დაკვირვების შედეგების მიხედვით გაზომვის მნიშვნელობის პოვნას. ამასთან გაზომვის შედეგების სიზუსტესთან ერთად მნიშვნელვანია დაცული იქნას კონტროლის ობიექტის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი მისი პარამეტრების სტაბილობა და აუცილებელი სამუშაო ვადის განმავლობაში მათი განმეორებადობა, მათ შორის შესაბამისი პირობების დაცვით ნებისმიერი სახის ტრანსპორტით გადაადგილების შემდეგ.

დაკვირვებათა შედეგების მიხედვით ნაპოვნი გაზომვის შედეგის მნიშვნელობებით გამოითვლება დაკვირვებათა შედეგების დისპერსიები და შემოწმდება დაკვირვებათა ჯგუფების

დისპერსიების ერთგვაროვნება ფიშერის კრიტერიუმის საშუალებით [1]. მათი ერთგვაროვნების შემთხვევაში გამოითვლება გაზომვის შედეგების დისპერსია და მისი ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობა  $\Delta_{\text{Sr}_{\text{გა}}}$  - საბაზო ლაბორატორიის საკონტროლო ნიმუშის ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობა, რომელიც განმცხადებელი ლაბორატორიის მიერ მიღებულ  $\Delta_{\text{Sr}_{\text{გა}}}$  მნიშვნელობას შედარდება.

საკონტროლო ნიმუში 10 kv-ზე სიმძლავრის ელექტროაპარატურის დამცავი დამწევის კონტრუის იმიტირებულ წინაღობას წარმოადგენს.

საკონტროლო ნიმუშის გამოკვლევა განმეორებადობის პირობის შესაძლებლად მიმდინარეობდა National Instruments ფირმის ELVIS-2 საზომი კომპლექსის საშუალებით, სადაც ექსპერიმენტი ტარდებოდა დაკვირვებათა 10 შედეგისათვის (მონაცემების  $i$ , სიმრავლე) და პარალელული გამოცდების 10 ერთეულისათვის (მონაცემების  $j$  სიმრავლე). გამოცდის შედეგები მოცემულია №1 ცხრილში.

გამოცდის შედეგები ცხრ.1

$\begin{array}{c} \text{ექსპერი-} \\ \text{მენტი} \\ j \end{array}$	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
$\begin{array}{c} \text{დაკვირ-} \\ \text{ვება} \\ i \end{array}$	1	4,596	4,606	4,604	4,600	4,601	4,608	4,604	4,602	4,604	4,601
2	4,595	4,608	4,604	4,599	4,600	4,608	4,605	4,602	4,604	4,601	
3	4,595	4,610	4,603	4,599	4,600	4,608	4,604	4,602	4,603	4,600	
4	4,594	4,610	4,603	4,599	4,600	4,607	4,605	4,602	4,604	4,601	
5	4,594	4,610	4,603	4,599	4,600	4,608	4,604	4,601	4,603	4,601	
6	4,595	4,610	4,603	4,599	4,599	4,607	4,604	4,602	4,603	4,601	
7	4,594	4,612	4,603	4,599	4,599	4,607	4,604	4,601	4,603	4,601	
8	4,594	4,612	4,603	4,599	4,600	4,607	4,603	4,602	4,603	4,601	
9	4,595	4,613	4,603	4,599	4,600	4,607	4,604	4,602	4,603	4,601	
10	4,594	4,613	4,603	4,599	4,600	4,607	4,604	4,601	4,603	4,601	
გაზომვის შედეგი	$\bar{y}_1 =$ 4,5946	$\bar{y}_2 =$ 4,6104	$\bar{y}_3 =$ 4,6032	$\bar{y}_4 =$ 4,599	$\bar{y}_5 =$ 1	$\bar{y}_6 =$ 4,5999	$\bar{y}_7 =$ 4,6074	$\bar{y}_8 =$ 4,6041	$\bar{y}_9 =$ 4,6017	$\bar{y}_{10} =$ 4,6034	
A ტიპის განუსა ზღვრე ლობა	0,0002 21	0,0007 02	0,0001 33	0,000 01	0,0001 79	0,0001 67	0,0001 79	0,0001 59	0,0001 63	0,0001 49	
დისპერსია	$4,88 \cdot 10^{-8}$	$49,3 \cdot 10^{-8}$	$1,76 \cdot 10^{-8}$	$0,01 \cdot 10^{-8}$	$3,2 \cdot 10^{-8}$	$2,78 \cdot 10^{-8}$	$3,2 \cdot 10^{-8}$	$2,5 \cdot 10^{-8}$	$2,65 \cdot 10^{-8}$	$2,22 \cdot 10^{-8}$	
$S_i^2$											

მიღებულ შედეგებს შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა გავყოთ ყველა დისპერსიის ჯამის მნიშვნელობაზე.

$$G = \frac{S_{\max}^2}{\sum_{i=1}^{10} S_i^2} = \frac{49,3 \cdot 10^{-8}}{72,5 \cdot 10^{-7}} = 0,68 \cdot 10^{-1}$$

მიღებული მნიშვნელობა შევადაროთ ცხრილურ მნიშვნელობას [1] პარალერული ექსპერიმენტების 10 ჯგუფისა და დაკვირვებათა ერთით ნაკლები ( $n-1$ ) რაოდენობისათვის  $G_{\beta b}=0,2439$ , რომელიც ბევრად მეტია საანგარიშო მნიშვნელობაზე, რაც მიუთითებს, რომ განსახილველ ჯგუფთა დისპერსიები არ სებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან ანუ ერთგვაროვანია და მონაცემთა გაერთიანება შესაძლებელია [3].

## 2.2. დაკვირვებათა რამდენიმე ჯგუფის საშუალო არითმეტიკულების განსხვავების არსებითობის შემოწმება

დაკვირვებათა რამდენიმე ჯგუფის საშუალო არითმეტიკულების განსხვავების არსებითობის შესამოწმებლად გამოყენება ფიშერის კრიტერიუმი, მოყვანილი გაანგარიშების ალგორითმის მიხედვით, რაც ცხ.1-ში მოყვანილი მნიშვნელობებისათვის მოგვცემს:

- თითოეული ჯგუფის საშუალო არითმეტიკულები  $\bar{y}_i$ ;

$\bar{y}_1$	$\bar{y}_2$	$\bar{y}_3$	$\bar{y}_4$	$\bar{y}_5$	$\bar{y}_6$	$\bar{y}_7$	$\bar{y}_8$	$\bar{y}_9$	$\bar{y}_{10}$
4,5946	4,6104	4,6032	4,5991	4,5999	4,6074	4,6041	4,6017	4,6034	4,601

- ერთობლივი საშუალო

$$\bar{\bar{y}} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^L n_i \bar{y}_i = 4,602$$

სადაც  $N$  დაკვირვებათა საერთო რაოდენობაა ყველა ჯგუფში:

$$N = n_1 + n_2 + \dots + n_L = 100$$

- ჯგუფთაშორისი დისპერსია  $S_{\Sigma L}^2$

$$S_{\Sigma L}^2 = \frac{1}{L-1} \sum_{i=1}^L n_i (\bar{y} - \bar{\bar{y}})^2 = 1,96 \cdot 10^{-4}$$

- ჯგუფების შიგნით დისპერსიების გასაშუალებული მნიშვნელობა  $\bar{S}_{\Sigma L}^2$

$$\bar{S}_{\Sigma L}^2 = \frac{1}{N-L} \sum_{i=1}^L \sum_{j=1}^{n_i} (y_{ij} - \bar{y}_i)^2 = 2,813 \cdot 10^{-7}$$

- განისაზღვრება ფიშერის კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა

$$F = \frac{S_{\Sigma L}^2}{\bar{S}_{\Sigma L}^2} = \frac{1,96 \cdot 10^{-4}}{2,813 \cdot 10^{-7}} / 2,813 \cdot 10^{-7} = 696,765$$

რომელიც შეედარება შესაბამის კრიტიკულ მნიშვნელობებს.

- ზედა კრიტიკული მნიშვნელობა  $F_{\Phi}$  შეირჩევა ფიშერის ცხრილის L-1 სვეტისა და N-L სტრიქონის გადაკვეთაზე და  $\approx 2$ .

- ქვედა კრიტიკული მნიშვნელობა  $F_J = 1/F_{\Phi} \approx 0,5$ .

თუ საანგარიშო მნიშვნელობა აღმოჩნდება ზედა და ქვედა კრიტიკულ მნიშვნელობებს შორის ითვლება, რომ განსახილველი ჯგუფთა საშუალო არითმეტიკულების განსხვავება არა არსებითი.

ჩვენი შემთხვევისთვის:

$$F_d \leq \frac{S_{\Sigma}^2}{\bar{S}_{\Sigma}^2} \leq F_v$$

საანგარიშო მნიშვნელობა არ აღმოჩნდა ზედა და ქვედა კრიტიკულ მნიშვნელობებს შორის ე.ი. საშუალო არითმეტიკულების განსხვავების არსებითობის შემოწმების შედეგი აღმოჩნდა არა-ერთგვაროვანი, ამიტომ უნდა დავადგინოთ ჯგუფიდან ჯგუფზე გადასვლისას საშუალო არითმეტიკულების წანაცვლების ხასიათი. წანაცვლება შეიძლება იყოს მონოტონურად ზრდადი ან კლებადი ან იცვლებოდეს შემთხვევითი ხასიათით. წანაცვლების ხასიათის დადგენა წარმოქმნას აბეს კრიტერიუმით, რომლის რეალიზაციის აღგორითმს შემდგევ სახე აქვს:

– ზემოთ მიღებული ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების  $\bar{y}_1, \bar{y}_2, \dots, \bar{y}_L$  საშუალებით გამოვითვალოთ მეზობელი ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების სხვაობები, რომელიც მოცემულა მე-2 ცხრილში.

ცხრ.2

მეზობელი ჯგუფები	ჯგუფებს შორის სხვაობა	მნიშვნელობა
$d_1$	$\bar{y}_2 - \bar{y}_1$	0,0158
$d_2$	$\bar{y}_3 - \bar{y}_2$	0,0072
$d_3$	$\bar{y}_4 - \bar{y}_3$	-0,0041
$d_4$	$\bar{y}_5 - \bar{y}_4$	0,0008
$d_5$	$\bar{y}_6 - \bar{y}_5$	0,0075
$d_6$	$\bar{y}_7 - \bar{y}_6$	-0,0033
$d_7$	$\bar{y}_8 - \bar{y}_7$	-0,0024
$d_8$	$\bar{y}_9 - \bar{y}_8$	0,0017
$d_9$	$\bar{y}_{10} - \bar{y}_9$	-0,0024

– შემდეგ გამოითვლება ორი დისპრესია:

$$S_d^2 = \frac{1}{2(L-1)} \sum_{i=1}^{L-1} d_i^2 = 2,22 \cdot 10^{-5}$$

$$S_{\bar{y}}^2 = \frac{1}{L-1} \sum_{i=1}^L (\bar{y}_i - \bar{y})^2 = 1,93 \cdot 10^{-5}.$$

– აბეს კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა

$$\nu = \frac{S_d^2}{S_{\bar{y}}^2} = 1,15$$

მიღებული მნიშვნელობა შეედარება აბეს კრიტერიუმის ცხრილურ კრიტიკულ მნიშვნელობას და თუ საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურს  $\nu > \nu_{\beta}$ , მაშინ ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების წანაცვლებას შემთხვევითი ხასიათი გააჩნია, ხოლო თუ  $\nu \leq \nu_{\beta}$  მაშინ ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების წანაცვლება სისტემატური ხასიათისაა. ვინაიდან გვაქვს პარალელურ დაკვირვებათა 10 ჯგუფი ( $L=10$ ), ამიტომ მისი ცხრილური მნიშვნელობა  $\nu_{\beta} = 0,5311$ ,  $q=0,05$  მნიშვნელობათა დონისათვის, რაც ნაკლებია მის საანგარიშო მნიშვნელობაზე  $\nu=1,15$ , ე.ი. ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების წანაცვლებას შემთხვევითი ხასიათი გააჩნია.

რადგან აბეს კრიტერიუმის მიხედვით საშუალო არითმეტიკულების წანაცვლებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ამიტომ დაკვირვებათა შედეგების გაერთიანება უნდა მოვახდინოთ

ისევე, როგორც მონაცემებისა, როდესაც დისპერსიები ერთგვაროვანია, ზოლო საშუალო არითმეტიკულები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან [3].

დაკვირვებათა შედეგების გაერთიანებული მახასიათებელები - ერთობლივი საშუალო  $\bar{y}$  და ერთობლივი საშუალოს დისპერსია  $S_{\bar{y}}^2$  გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$\bar{y} = \frac{\sum_{i=1}^L n_i \bar{y}_i}{N} = 4,6025 \quad (1)$$

$$S_{\bar{y}}^2 = \frac{1}{N(N-1)} \left[ \sum_{i=1}^L (n_i - 1) S_i^2 + \sum_{i=1}^L n_i (\bar{y}_i - \bar{y})^2 \right] = 1,75 \cdot 10^{-7} \quad (2)$$

რომელთა რიცხვითი მნიშვნელობები მიღებულია ადრე გამოთვლილის გათვალისწინებით.

მიღებული შედეგი გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმოადგენს ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის A ტაბის სტანდარტულ განუსაზღვრელობას ანუ საკონტროლო ნიმუშის განმეორებადობის ექსპერიმენტში მიღებულ ჯამურ სტანდარტულ განუსაზღვრელობას [4], რომელიც

$$u_{\Sigma r_{\delta \omega}} = \sqrt{S_{\bar{y}}^2} = \sqrt{1,75 \cdot 10^{-7}} = 4,19 \cdot 10^{-4} \Omega .$$

შესაბამისად საკონტროლო ნიმუშის წინაღობა ჩაიწერება

$$R_{\text{საკ}} = 4,6025 \pm 4,19 \cdot 10^{-4} \Omega$$

საკონტროლო ნიმუშის საძიებელი პარამეტრის მღებულ მნიშვნელობას შეედარება ლაბორატორიათაშორის გამოცდებში მონაწილე ლაბორატორიების გაზომვის შედეგები. საკონტროლო ნიმუშის ნაპოვნ მნიშვნელობასთან მიახლოების ხარისხის მიხედვით მსჯელობებ მონაწილე ლაბორატორიების გაზომვის შედეგების კომპეტენციაზე.

### 3. დასკვნა

ლაბორატორიათაშორისი გამოცდების (ლშგ) ჩატარების აუცილებლობა, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიების მონაცემთა ურთიერთშესატყვისობასა და დაახლოებას გულისხმობს მნიშვნელოვნადაა განპირობებული პროგაიდერის მიერ მომზადებული საკონტროლო ნიმუშის საკვლევი პარამეტრის გაზომვის შედეგის განმეორბადობისა და აღწარმოებადობის უნარის განსაზღვრის მეთოდისა და მიღობებისაგან, რაც საბოლოო ჯამში მონაწილე ლაბორატორიების კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის შეფასების საფუძვლია.

#### ლიტერატურა:

1. Методика проведения межлабораторных сравнительных испытаний электродвигателей, трансформаторов для бытовых приборов и зарядки аккумуляторов, стабилизаторов напряжения, трансформаторов разделительных, безопасных разделительных. (2008). Испытательный центр АНО “НТЦ ОС ЭЛМАТЭП“. Москва.

2. ჭედგინიძე ი. (2000). საინჟინრო ესპერიმენტის ორგანიზაცია და დაგეგმვა, ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი.
3. აბელაშვილი ნ., ქართველიშვილი გ., მურჯიკნელი გ. (2013). რეალური ობიექტისა და ვირტუულური მოდელის გაზომვის მონაცემების გაერთიანების პირობები. სტუ. შრ.კრებ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(15), გვ.122-127
4. ГОСТ ISO/IEC 17043-2013. (2014). Оценка соответствия. Основные требования к проведению проверки квалификации (ISO/IEC17043:2010, IDT). Москва. Стандартпнформ.

## **PRODUCTION OF THE MONITORING SAMPLES FOR INTERLABORATORY TESTS**

Abelashvili Nodar<sup>1</sup>, Abelashvili Nika<sup>2</sup>

1- Georgian Technical University,

2 - Austrian Engineering Advisory Bury "Ingerieure Gmbh"

### **Summary**

In the work the technique of research control sample during laboratory trials to establish criteria for the frequency and its physical values laboratory Parties in proficiency testing conformity assessment. During the inter-laboratory tests to establish their mutual compliance by finding the difference between the average and variance in the results of observations of arithmetic, where, together with Pearson's criteria can be used and Student's criteria too.

## **ИЗГОТОВЛЕНИЕ КОНТРОЛЬНОГО ОБРАЗЦА ДЛЯ ПРОВЕДЕНИЯ МЕЖ-ЛАБОРАТОРНЫХ ИСПЫТАНИЙ**

Абелашвили Нодар<sup>1</sup>, Абелашвили Ника<sup>2</sup>

1- Грузинский Технический Университет,

2- Австрийское Инженерное Консультативное Бюро “Ingerieure Gmbh”

### **Резюме**

Рассматривается методика исследования контрольного образца при проведении межлабораторных испытаний для установления критериев повторяемости и физического значения результатов измерения при проверке оценки соответствия квалификации для участников. При проведении межлабораторных испытаний установление их взаимного соответствия осуществляется путем нахождения отличий между дисперсиями и средними арифметическими в результатах наблюдения, где совместно с критерием Пирсона можно использовать и критерий Стьюдента.